

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

*წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ქალბატონო ნ.,

საქართველოს სახალხო დამცველს 2022 წლის 2 სექტემბერს N10025/22 განცხადებით მომართა ს.ს.-ის წარმომადგენელმა, ი.დ.-მ, რომელიც მარწმუნებელს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების პროცესში, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ეთნიკური კუთვნილების ნიშნით, დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლად მიიჩნევს. ი.დ.-მ სახალხო დამცველს ასევე აცნობა, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ს.ს.-ის კანონიერმა წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით უკვე მიმართა (მოპასუხე - საბავშვო ბაღი შპს „ერუდიტი“). აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, განმცხადებელმა საქართველოს სახალხო დამცველს თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის სასამართლოს მეგობრის მოსაზრების (Amicus Curiae) წარდგენა სთხოვა.

საქართველოს სახალხო დამცველს პატივი აქვს აღნიშნულ საქმეზე წარადგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოწყვლადობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის მომეტებული რისკის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სასამართლოს დაეხმაროს დისკრიმინაციული ქმედების იდენტიფიცირების პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე არსებულ პრობლემებსა და დისკრიმინაციის შემთხვევებზე სახალხო დამცველს არაერთხელ უმსჯელია და მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი, თანასწორობისთვის ბრძოლის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტით, საქართველოს კონსტიტუციის, ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, სახალხო დამცველი წარმოადგენს მის შეფასებას სარჩელში დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

1. ფაქტობრივი გარემოებები

წარმოდგენილი განცხადების თანახმად¹, ს.ს.-ის კანონიერ წარმომადგენელსა და შპს „ერუდიტებს“ შორის, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც ს.ს. 2019 წლის სექტემბრის თვიდან, 2021 წლის აგვისტომდე მოპასუხის მომსახურებით სარგებლობდა. ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ერუდიტებს“ ევალეობდა, ს.ს.-სთვის სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი განათლება მიეცა, რაც არ განახორციელა. ს.ს.-ის კანონიერმა წარმომადგენელმა (დედა), ე.რ.-მ, სოციალური ქსელის დახმარებით აღმოაჩინა, რომ ბავშვი ბაღის მიერ დაგეგმილ ყველა აქტივობაში ჩართული არ იყო. კერძოდ, მაშინ, როდესაც ს.ს.-ის ყველა სხვა ჯგუფელი დაკავებული იყო სპორტული აქტივობითა და ბაღის მიერ მოწყობილ აუზში ცურვით, იგი სხვა ბავშვებისგან იზოლირებულად, საკლასო ოთახში იმყოფებოდა. განმცხადებლის მითითებით, ს.ს.-ს ბნელ ოთახში, აღმზრდელ-პედაგოგის მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა წარსულშიც მოუწია. ე.რ.-ს კითხვაზე, თუ რატომ არ მოხდა ბავშვის აუზში ჩაყვანა, მას დაწესებულების წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ ს.ს. ვერ შეძლებდა სხვა თანაჯგუფელებთან ერთად გართობას, რამდენადაც მას განსაკუთრებული მეთვალყურეობა ესაჭიროებოდა.

წარმოდგენილ განცხადებაში განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ შპს „ერუდიტების“ დირექტორის შეფასებით, ს.ს.-ს სპეცმასწავლებლის ჩართულობა ესაჭიროებოდა, რისთვისაც ე.რ.-ს მიეცი მითითება, რომ შემდეგი სასწავლო წლიდან ბავშვთან ერთად სპეცმასწავლებლის გაკვეთილზე დასწრებაც უზრუნველყო. მოპასუხე მხარესთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ, ს.ს.-მ სხვა სააღმზრდელო დაწესებულებაში დაიწყო სკოლამდელი განათლების მიღება, სადაც მან თამაში, ხატვა და სხვადასხვა აქტივობების შესრულება ისწავლა. აღნიშნული გარემოება ე.რ.-ს უღრმავებს ეჭვს, რომ შპს „ერუდიტებში“ სწავლის პერიოდში ს.ს. სხვადასხვა აქტივობაში სრულყოფილად ჩართული არ იყო.

ე.რ. დისკრიმინაციულ მოპყრობას ს.ს.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირებს. მისი შეფასებით, ბავშვის განვითარების შეფერხება იყო მიზეზი იმისა, რომ აღმზრდელები უგულებელყოფდნენ მის საჭიროებებს და არ აწვდიდნენ მასზე მორგებულ სკოლამდელ განათლებას, მათ შორის, თავს იკავებდნენ მისი ცალკეულ აქტივობებში ჩართვისგანაც. ე.რ. ასევე ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, სინი სახტაროვის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა მის ეთნიკურ კუთვნილებასაც უკავშირდებოდა.

შპს „ერუდიტები“ არ ეთანხმება მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიჩნევს, რომ დაწესებულების მხრიდან ს.ს.-ის მიმართ, დისკრიმინაციულ მოპყრობას ადგილი არ ჰქონია. მოპასუხე აღნიშნავს, რომ ბაღში მომუშავე პერსონალს განსაკუთრებული და გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა ს.ს.-ის მიმართ და ბაღის მიერ ორგანიზებულ ყველა აქტივობასა თუ ღონისძიებაში იგი აქტიურად იყო ჩართული. ბაღის ადმინისტრაციის

¹ განცხადებასთან ერთად განმცხადებლის ინტერესების დამცველმა სახალხო დამცველს წარმოუდგინა სარჩელის, შესაგებლისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების ასლები

მიერ მოწყობილ აუზში ს.ს.-ის არ ჩაშვების ფაქტს მოპასუხე მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მოტივით ხსნის და განმარტავს, რომ ბადის მიერ დაწესებული რეგულაციით, აუზის აქტივობაში მონაწილეობისთვის, აუცილებელია, ბავშვი მინიმუმ 4 წლის იყოს, ხოლო, ვინაიდან ს.ს. იმ მომენტისთვის იყო 3 წლის, იგი მსგავს აქტივობაში ვერ ჩაერთვებოდა. ამასთან, რამდენადაც ს.ს.-ს აღნიშნებოდა განვითარების შეფერხება, ბაღმა მიზანშეწონილად ჩათვალა, ბავშვი აუზში მხოლოდ დედის უშუალო ჩართულობითა და მეთვალყურეობით ჩასულიყო. მოპასუხის შეფასებით, აღნიშნულ შემთხვევაში ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის პასუხისმგებლობა ბაღიდან დედაზე გადავიდოდა, რაზეც დედამ თანხმობა არ განაცხადა. ოთახში მარტო ყოფნასთან მიმართებით, მოპასუხე განმარტავს, რომ ს.ს.-სთან ერთად ოთახში სხვა 3 წლის ბავშვი (რომელსაც ასევე ასაკიდან გამომდინარე უარი ეთქვა აუზში ჩასვლაზე) და ერთი აღმზრდელი იმყოფებოდნენ.

ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის გასაქარწყლებლად მოპასუხე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამავე დაწესებულებაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება ს.ს.-ის დამ - ს. ს.-მაც მიიღო, რომლის მიმართაც აღმზრდელები განსაკუთრებული ზრუნვითა და სიყვარულით გამოირჩეოდნენ. მოპასუხის შეფასებით, სწორედ, აღნიშნული გარემოება იყო განმაპირობებელი იმისა, რომ ე.რ.-მ მეორე შვილიც იმავე ბაღში შეიყვანა.

2. სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად: „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.“

მოცემულ შემთხვევაში, განსახილველი საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორუფლებიანობას უკავშირდება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონტექსტში თანასწორობის პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მათი სხვადასხვა ფორმით დისკრიმინაციისას შემაშფოთებელ სიძნელეებს აწყდებიან². შესაბამისად, საკითხის მაღალი მგრძობელობის გათვალისწინებით და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ესარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმის განმხილველი სასამართლოსთვის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) წარედგინა.

² შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, პრეამბულა, პარ. p

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და ადამიანის უფლებათა სამართლის მხოლოდ იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას ახდენს, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ. განსახილველ შემთხვევაში, განხილული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულელებით არსებული მიდგომები.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1. ზოგადი დებულებები

თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა ერთიანდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ პრინციპებსა და უფლებებს შორის³. ადამიანის ღირსებასთან კავშირის გამო, ეს პრინციპები ყველა უფლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის⁴.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს როგორც კონსტიტუციით, ასევე საქართველოს სხვა კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით თანასწორ სარგებლობას. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“⁵. ამასთან, „სახელმწიფო ვალდებულია

³ დისკრიმინაციას კრძალავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველ გვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.“ ამასთან, კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ითვალისწინებს საერთო აკრძალვას და დისკრიმინაციისგან იცავს კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებას. თანასწორობის პრინციპს განამტკიცებს, აგრეთვე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 26-ე მუხლი, რომელიც ადგენს: „უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ექვეტურ დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციისაგან“

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის № 1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, პუნქტი 1

შექმნას განსაკუთრებული პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“⁶

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების“ გაეროს კონვენციით (შემდგომში კონვენცია), შეზღუდული შესაძლებლობის გამო ნებისმიერი პიროვნების დისკრიმინაცია ადამიანის თანდაყოლილი და განუყოფელი ღირსების დარღვევად არის აღიარებული⁷, ხოლო უფლებების განხორციელების უპირველეს გარანტიად ამ უფლებების სხვებთან თანასწორად რეალიზების უზრუნველყოფა მოიაზრება⁸. კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე გულისხმობს - „შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა; იგი მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის უარს გონივრულ მისადაგებაზე“, ხოლო ამავე მუხლის თანახმად გონივრული მისადაგება გულისხმობს - „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას“. კონვენციის სულისკვეთებას სრულად იზიარებს საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“⁹. კანონის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა გონივრული მისადაგებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად¹⁰.

საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვის თვალსაზრისით (როგორც უფლების შინაარსის დეტალიზების მასშტაბით, ასევე უფლების დაცვის საშუალებებით), არსებითია საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. აღნიშნული კანონის საფუძველზე, კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა¹¹. ხოლო, ამავე კანონით განსაზღვრულია, რომ სახელმწიფომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა

⁶ იქვე, პუნქტი 4

⁷ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, პარ. h

⁸ იქვე, მუხლი 3, პუნქტი 1

⁹ საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, მუხლი 2, პუნქტი „გ“, მუხლი 5

¹⁰ იქვე, მუხლი 5, პუნქტი 2

¹¹ საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 1

გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად. გონივრულ მისადაგებაზე უსაფუძვლო უარი კი აგრეთვე ჩაითვლება დისკრიმინაციად¹².

3.2. მტკიცების ტვირთის განაწილება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეში

უშუალოდ დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ მსჯელობამდე, მნიშვნელოვანია, სასამართლომ სწორად გადაწყვიტოს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი, რათა გარანტირებული იყოს სავარაუდო დისკრიმინაციული ფაქტის სწორი შეფასება.

დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შეფასებისას სახელმძღვანელო ნორმებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VII³ კარი განსაზღვრავს. 363³-ე მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი არ გულისხმობს მხარისთვის ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის იმ მოცულობით დავალდებულებას, რაც საჭიროა შემდგომ ეტაპზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი ვარაუდის წარმოსაშობად, მნიშვნელოვანია, მხარემ წარმოადგინოს იმ ფაქტებისა და ობიექტურად მოპოვებადი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს და ობიექტური დამკვირვებლისთვის წარმოშობს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ვარაუდს, რაიმე ნიშნით. ამდენად, დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი ნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სასამართლოს უნდა დაუმტკიცოს განსხვავებული მოპყრობის არარსებობა ან წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც წარმოადგენს განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას¹³.

განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს მოსარჩელე მხარის მიერ დასახელებულ მთელ რიგ გარემოებებზე, სადაც ს.ს.-ის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების უფლების შეზღუდვაზე უთითებს. მათ შორის, მნიშვნელოვანია სასამართლომ შეაფასოს შპს „ერუდიტების“ წარმომადგენლების ქცევა განპირობებული იყო თუ არა ს.ს.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობითა და ეთნიკური

¹² იქვე, მუხლი 2, პუნქტი 3³

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-247-235-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-142-134-2017.

კუთვნილებით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საკმარისად ჩათვლის მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დადგენილად მიიჩნევს, უფლებით სარგებლობის შეზღუდვისა და სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტს, მოპასუხე მხარეზე უნდა გადავიდეს მტკიცების ტვირთი, რომ გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა მისთვის დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეს წარმოადგენდა.

აქვე, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იღებს დასკვნებს, რომლებიც, მისი აზრით, გამყარებულია ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, მათ შორის ისეთი დასკვნებით, რომლებიც, შესაძლოა, გამომდინარეობდეს ფაქტებიდან და მხარეთა განმარტებებიდან; მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ძლიერი, ნათელი და ურთიერთშესაბამისი დასკვნების ერთობლიობიდან ან ფაქტის გაუქარწყლებელი დაშვებებიდან¹⁴.

3.3. გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა

როგორც უკვე აღინიშნა, კონვენციით აღიარებული სტანდარტების საფუძველზე, გონივრული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას გულისხმობს, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას¹⁵. შესაბამისად, კონვენცია ადგენს გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულებას თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით¹⁶. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გონივრული მისადაგება, შეზღუდული შესაძლებლობების კონტექსტში, დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ ვალდებულების არსებითი ნაწილია¹⁷.

გონივრული მისადაგების სტანდარტის განმარტებისთვის არსებითია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ხედვები. კომიტეტის განმარტების თანახმად, გონივრული მისადაგება ინდივიდუალიზებული რეაქტიული ვალდებულებაა, რომელიც მოქმედებს მისადაგების მოთხოვნის მიღებიდან. შესაბამისად, იგი პროაქტიულად განსახორციელებელი ღონისძიება არაა, არამედ ამ პრინციპის რეალიზება უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ჩათვლის, რომ

¹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: NACHOVA AND OTHERS v. BULGARIA, პარ. 147.

¹⁵ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2

¹⁶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 5, პუნქტი 3

¹⁷ იხ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი No5 შშმ პირების შესახებ, პუნქტი 15

მას გარემო პირობები ხელს უშლის, რომ სხვა პირებთან თანასწორად ისარგებლოს თავისი უფლებებით¹⁸.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს განსხვავება გონივრული მისადაგებისა (reasonable accomodation) და მისაწვდომობის (accessibility) ვალდებულებებს შორის. ორივე მათგანის მიზანს წარმოადგენს გარემოს, კომუნიკაციისა თუ სხვა სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, თუმცა, მისაწვდომობის ზოგადი სტანდარტი, შესაძლოა, მაინც არასაკმარისი აღმოჩნდეს იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ვისაც განსაკუთრებით იშვიათი მდგომარეობა და მკვეთრად ინდივიდუალიზებული საჭიროებები გააჩნია. განსხვავებით მისაწვდომობის ზოგადი ვალდებულებისა, გონივრული მისადაგების პრინციპი **კონკრეტული ინდივიდისთვის** წარმოშობს უფლებას, მოითხოვოს კონკრეტული სერვისისა თუ პროდუქტის, ან გარემოს დაუყოვნებელი მოდიფიცირება და მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება იმისათვის, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი გახდეს ამ კონკრეტული პირისთვის¹⁹. გონივრული მისადაგების მაგალითებია: აქტივობების რეორგანიზაცია; სასწავლო მასალისა და სწავლების სტრატეგიების მისადაგება; დამხმარე პერსონალის წვდომა²⁰.

გაეროს კომიტეტი ასევე განმარტავს, რომ მხარემ განათლების უფლების რეალიზების ფარგლებში, შესაძლებელია, მოითხოვოს გონივრული მისადაგება მიუხედავად იმისა, რომ ადრესატს შესრულებული აქვს ვალდებულება მისაწვდომობის შესახებ²¹. იგი მიუთითებს, რომ, მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო სფეროში გაქრეს ხედვა იმის თაობაზე, რომ „ერთი ზომა ერგება ყველას“, რამდენადაც ერთი და იმავე საჭიროების მქონე პირისთვის მისადაგება, შესაძლოა, განსხვავებული იყოს²². აქვე, გასათვალისწინებელია კომიტეტის პერსპექტივა, რომ გონივრული მისადაგების ღონისძიება, შესაძლებელია, სამედიცინო დიაგნოზიდან არ მომდინარეობდეს და შესაბამის სფეროში სოციალური ბარიერების დაძლევის მექანიზმი იყოს²³. მისადაგება გონივრულია, თუ აღწევს მიზანს, რომლისთვისაც შემუშავდა და შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მოთხოვნებს²⁴.

¹⁸ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარ. 24

¹⁹ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018

²⁰ იქვე, პარ. 23

²¹ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, პარ. 29

²² გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, პარ. 30

²³ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, პარ. 30

²⁴ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარ. 25

მისაწვდომობის ზოგადი ვალდებულებისგან განსხვავებით, რომელიც უპირობოა და სერვისის მიმწოდებელი თავს ვერ აარიდებს მის მიერ შეთავაზებული სერვისისა თუ მომსახურების მისაწვდომობის უზრუნველყოფას, გონივრული მისადაგების ვალდებულება, შესაძლოა, გამოირიცხოს შესაბამისი პირობების არსებობისას. კერძოდ, გონივრული მისადაგების მოთხოვნა მიმსადაგებელი მხარისათვის გადაჭარბებულ ან გაუმართლებელ სირთულეებსა და არაპროპორციულად დიდ ხარჯებს არ უნდა ქმნიდეს. აღნიშნულის განსასაზღვრად, აუცილებელია, მიზნების, ანუ განსახილველი უფლებებით სარგებლობისა და გამოყენებული საშუალებების პროპორციულობის შეფასება²⁵. ამასთან, კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ხარჯები ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ უნდა დაეკისროთ²⁶. დაბოლოს, გონივრულ მისადაგებაზე უარის ნებისმიერი დასაბუთება ობიექტურ კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს დროულად, შესაბამისი ანალიზის თანხლებით მიეწოდოს²⁷.

გონივრული მისადაგების სტანდარტის პრაქტიკაში რეალიზება მისი წინაპირობებისა და კომპონენტების შეფასებას გულისხმობს. წინამდებარე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებაში საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს გონივრული მისადაგების იმ ელემენტებზე, რომელიც მნიშვნელოვანია დისკრიმინაციული მოპყრობის გამოკვეთისთვის.

3.4. აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელება

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის შეფასებით, გონივრული მისადაგების ვალდებულება, რომელსაც კონვენციის მე-2 და მე-5 მუხლები ითვალისწინებს, შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი აწესებს პოზიტიურ სამართლებრივ ვალდებულებას ისეთი გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაზე, რომელიც გულისხმობს **აუცილებელი და სათანადო მოდიფიკაციებისა და კორექტივების მიღებას** კონკრეტულ შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აუცილებლად ესაჭიროება საკუთარი უფლებებით სარგებლობისათვის. ამ ვალდებულების მეორე ნაწილი კი უზრუნველყოფს, რომ გონივრული მისადაგება ვალდებულების მქონე პირს **დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს** არ აკისრებდეს²⁸.

გონივრული მისადაგების ფორმის განსაზღვრა არსებითი ფაქტორია, რომ ვალდებულება შესრულდეს პირის ინდივიდუალური საჭიროებების საპასუხოდ. თუ რა ღონისძიება

²⁵ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარ. 26

²⁶ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარ. 26

²⁷ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარ. 27

²⁸ იქვე, პარ. 25

ჩაითვლება სათანადო მოდიფიკაციად (ვალდებულების რეალიზებად), ამის შესახებ უნდა არსებობდეს ორივე მხარის ერთიანი, კონსენსუსზე დაფუძნებული ხედვა²⁹. შესაბამისად, გონივრული მისადაგების ვალდებულების შესრულების არსებითი კომპონენტია, რომ სპეციალური ღონისძიება შემუშავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან კონსულტაციის შედეგად.

განსახილველ შემთხვევაში, მოდიფიკაციის შესაძლებლობაზე მსჯელობამდე, მნიშვნელოვანია, შეფასდეს თუ რომელი ფუნდამენტური უფლების რეალიზებას ემსახურება გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა. შპს „ერუდიტები“ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი დაწესებულებაა, სადაც მცირეწლოვანი ბავშვებისთვის შესაძლებელია სკოლამდელი განათლების მიღება და სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებში ჩართვა. ამდენად, დაწესებულების მიერ შეთავაზებული მომსახურება განათლების უფლების რეალიზების დაცულ სფეროში ექცევა³⁰.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, განათლება ხელს უწყობს ინდივიდს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, დამოუკიდებლად გაუძღვეს და მოაწიოს საკუთარი ცხოვრება³¹. კონვენცია განათლების უფლების დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის, აუცილებლად მიიჩნევს ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობას, რამდენადაც აღნიშნული ემსახურება - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი პიროვნების, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, მათ უზრუნველყოფას თავისუფალ საზოგადოებაში ეფექტური ჩართვის შესაძლებლობით³². ინკლუზიურ განათლებას კომიტეტი განმარტავს, როგორც სასწავლო მეთოდებში, მიდგომებში, სტრუქტურებსა და სწავლების სტრატეგიებში შეტანილ მოდიფიკაციებსა და ცვლილებებს, რათა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი და კომბინირებული სასწავლო გამოცდილება და გარემო³³. ამავდროულად, ეს გარემო საუკეთესოდ უნდა პასუხობდეს მათ მოთხოვნილებებს³⁴. კომიტეტის შეფასებით, შეზღუდული შესაძლებლობის

²⁹ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს და სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ დირექტორს, 2021, გვ. 10, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021020311331229242.pdf>

³⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27; ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, მუხლი 2; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 13

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე: „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწ. II, პარ. 16-18

³² შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 24

³³ იქვე, პარ. 11

³⁴ იქვე

მქონე პირებისთვის განათლებაზე წვდომაზე პირდაპირ ან ირიბად უარის თქმა ან ნებისმიერი ფორმით ხელშეშლა შედეგად იწვევს მათ გარიყვას³⁵.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე აღნიშნავს, რომ აღმზრდელები უგულბელებოფდნენ მის საჭიროებებს და არ აწვდიდნენ მასზე მორგებულ სკოლამდელ განათლებას, მათ შორის, თავს იკავებდნენ მისი ცალკეულ აქტივობებში (აუზის ინციდენტი) ჩართვისგანაც, რამდენადაც, ბაღის წარმომადგენლების შეფასებით, მას განსაკუთრებული მეთვალყურეობა ესაჭიროებოდა. ბავშვის საჭიროებების უგულბელებოფის ექვს ე.რ.-ს ის გარემოება უღრმავებს, რომ სხვა სააღმზრდელო დაწესებულებაში გადასვლის შემდგომ, ბავშვმა აქტიურად დაიწყო თამაში, ხატვა და სხვადასხვა აქტივობების შესრულება. სარჩელში აღნიშნულია ისიც, რომ დედას დაწესებულების დირექტორის მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ შემდეგი სასწავლო წლიდან ბავშვთან ერთად სპეცმასწავლებლის გაკვეთილზე დასწრებაც უზრუნველყო.

მოპასუხე მხარე მოსარჩელისგან განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს, იგი უარყოფს დისკრიმინაციულ მოპყრობას და განმარტავს, რომ აუზში ს.ს.-ის არ ჩაყვანა ერთი მხრივ მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვით, ხოლო მეორე მხრივ ასაკობრივი შეზღუდვით იყო განპირობებული. მოპასუხე ასევე უთითებს, რომ დედას ბავშვთან ერთად აუზის აქტივობებში ჩართვა შეეთავაზა, რაზეც მან თავად განაცხადა უარი. მნიშვნელოვანია, სასამართლომ, ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ მართალია მოპასუხე უარყოფს დისკრიმინაციულ მოპყრობას, თუმცა იგი განმარტებას არ აკეთებს იმაზე, თუ რა ძალისხმევა გასწია დაწესებულებამ ს.ს.-სთვის ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნის მიზნით. კერძოდ: როგორ ხდებოდა სასწავლო მასალის მის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებულად მიწოდება; რა სტრატეგია/გეგმა გამოიყენებოდა მასთან სამუშაოდ; გამოიძებნა თუ არა ალტერნატიული სწავლის მეთოდები და მოდიფიკაცია ჩაუტარდა თუ არა პროგრამას; სწავლების მეთოდის შერჩევის პროცესში ჩართული იყო თუ არა დედა და გაზიარებული იქნა თუ არა მისი ხედვა, მათ შორის, ხდებოდა თუ არა აქტივობების მოდიფიცირება ისე, რომ მასში ჩართვის შესაძლებლობა მოსარჩელესაც მისცემოდა. სასამართლომ, უნდა გამოიკვლიოს ყველა დასახელებული კომპონენტი იყო თუ არა განხორციელებული შპს „ერუდიტების“ მხრიდან ბავშვისთვის ადრეული და სკოლამდელი განათლების მიცემის პროცესში. სასამართლომ, ასევე, უნდა გამოიკვლიოს, დედას ნამდვილად შეეთავაზა თუ არა აუზის აქტივობებში ბავშვთან ერთად ჩართვა და როგორი იყო შეთავაზებაზე დედის საპასუხო რეაქცია. მტკიცების ტვირთის სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, მოპასუხე მხარემ სათანადო მტკიცებულებებით დაადასტუროს მის მიერ დასახელებული გარემოებები.

3.5. დაუძლეველი და გაუმართლებელი სირთულეების არსებობა

³⁵ აეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, CPRD/G/GC/4, 25.11.2016, პარ. 11

გარდა იმისა, რომ გონივრული მისადაგების ღონისძიება უნდა იყოს შესაბამისი პირის საჭიროებებზე მიბმული, იგი ასევე უნდა ითვალისწინებდეს ვალდებულების შემსრულებლის ხელთ არსებულ რესურსებს. კონვენციის მიერ განსაზღვრული სტანდარტის მიხედვით, გონივრული მისადაგების ფარგლებში შესაბამისი ღონისძიების თანაზომიერება „არაპროპორციული/დაუძლეველი სირთულის“ ტესტით ფასდება. ამგვარად, გონივრული მისადაგების ღონისძიების განსაზღვრისას არსებობს, ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის სათანადო ღონისძიება და მეორე მხრივ, ვალდებულების ადრესატის ობიექტურად გაზომვადი მატერიალური თუ სხვა ტიპის რესურსები, შესაძლებლობები.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ არათანასწორ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებას წარმოადგენს და არ შეიძლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაეკისროთ გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული ხარჯები³⁶. მოსარჩელე მხარე სარჩელში უთითებს, რომ დედას შპს „ერუდიტების“ დირექტორის მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ შემდეგი სასწავლო წლიდან ბავშვთან ერთად სპეცმასწავლებლის გაკვეთილზე დასწრებაც უზრუნველყო. აღნიშნულთან მიმართებით სახალხო დამცველი განმარტავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განათლების ყველა საფეხურის ხელმისაწვდომობა ყველა საჯარო თუ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის უპირობო ვალდებულებას წარმოადგენს³⁷. აღნიშნული ვალდებულებიდან გამომდინარე, შპს „ერუდიტები“, როგორც ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი დაწესებულება, ვალდებულია, შექმნას ინკლუზიური გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და მაქსიმალურად უზრუნველყოს ერთი მხრივ მასწავლებელთა პროფესიული ცოდნის შესაბამისობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ქცევის საჭიროებებთან, ხოლო მეორე მხრივ, აუცილებლობის შემთხვევაში, თავად უზრუნველყოს სპეცმასწავლებლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა. შესაბამისად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ სპეცმასწავლებლის დაქირავების მიზნით თანხის გამოყოფის საჭიროება არ შეიძლება ჩაითვალოს გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯად, რამდენადაც, ინკლუზიური განათლების მიწოდების ზოგადი ვალდებულებიდან (მისაწვდომობა) გამომდინარე, აღნიშნული არ წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მოსარგებ ღონისძიებას. გონივრული მისადაგების მიწოდებისთვის გასაწევ რესურსს წარმოადგენს ისეთი ხარჯი, რომელიც დაწესებულების მხრიდან გაღებული იქნებოდა სასწავლო პროცესში აუცილებელი და

³⁶ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, პარ. 26, პუნქტი (f)

³⁷ საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, მუხლი 27; საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, მუხლი 23

შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებისას, რასთან დაკავშირებითაც მოპასუხეს წარმოდგენილ შესაგებელში არ მიუთითებია.

1. დასკვნა

განხილული სამართლებრივი სტანდარტებიდან გამომდინარე, გონივრულ მისადაგებაზე უარის, როგორც დისკრიმინაციის გამოსავლენად არსებითია, რომ სასამართლომ ყურადღება მიაქციოს შემდეგ გარემოებებს:

1. შპს „ერუდიტების“ მხრიდან მოხდა თუ არა ს.ს.-ის ინდივიდუალურ საქიროებაზე მორგებული მომსახურების მიწოდება. კერძოდ, სასწავლო პროცესი იყო თუ არა ინკლუზიური და ხდებოდა თუ არა საგაკვეთილო მასალების/აქტივობების მოდიფიცირება იმგვარად, რომ, სხვა ბავშვების მსგავსად, მასაც შესძლებოდა შესაბამისი განათლების მიღება;
2. გონივრული მისადაგების ვალდებულების ფარგლებში, ს.ს.-სთვის ინდივიდუალურ საქიროებაზე მორგებული მომსახურების მიწოდება, შპს „ერუდიტებისთვის“, დაკავშირებული იყო თუ არა გაუმართლებელ სირთულეებთან და არაპროპორციულად დიდ ხარჯებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით.

პატივისცემით,